

ცვლილება დამტკიცებულია
შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის
აკადემიური საბჭოს სხდომაზე: ოქმი №12
„20“ 12 2021წ.

რექტორი:



მარინა გორგოჩალავა

სტუდენტთა და პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო, ადმინისტრაციული) კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს უნივერსიტეტის ყველა შესაბამის რესურსს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ინდიკატორებს და სამიზნე ნიშნულებს.

სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისათვის უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ სამიზნე ნიშნულებს:

- ✓ აკადემიური/მოწვეული პერსონალი
- ✓ ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი
- ✓ მატერიალური რესურსი (ინფრასტრუქტურა)
- ✓ საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსი
- ✓ ფინანსური რესურსი
- ✓ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა
- ✓ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- ✓ აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- ✓ ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მდგრადი, სტაბილური ფუნქციონირებისთვის და მაღალი ხარისხით წარმართვისათვის შემუშავებულია შემდეგი მეთოდოლოგიები:

1. სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია
2. საგნობრივ ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

I. სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია

უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა განსაზღვრულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის. უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა დატვირთვის მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე.

აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას და გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც მას უკავია აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა ან აქვთ საათობრივი დატვირთვა.

პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, თითოეულ პროგრამაზე უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

1. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა განისაზღვრება შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:
 - ✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა არსებული რაოდენობა;
 - ✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა;
 - ✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის შეჩერებული და შეწყვეტილი რაოდენობა;
 - ✓ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა.
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემდეგი თანაფარდობა უნივერსიტეტში მოქმედი ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის:
 - 1 აკადემიური პერსონალი არაუმეტეს 25 სტუდენტზე (1/25) (აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს სპეციალობის გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს).
 - 1 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი არაუმეტეს 35 სტუდენტზე (1/35), 1 ასისტენტ-პროფესორი/ასისტენტი არაუმეტეს 25 სტუდენტზე (1/25). 15/1 სტუდენტი/პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.
3. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემდეგი თანაფარდობა:
 - ✓ აკადემიური პერსონალის წილი არ უნდა იყოს 30% ნაკლები საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.
 - ✓ აფილირებული აკადემიური პერსონალის წილი არ უნდა იყოს 30% ნაკლები საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.
4. საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემით გათვალისწინებული სწავლებისა და კვლევისთვის დადგენილი საათობრივი დატვირთვა.
5. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხდება ყოველწლიურად, ყოველი მომდევნო აკადემიური წლისთვის.
6. საგანმანათლებლო პროგრამებზე კონტინგენტის დაგეგმილი ყოველწლიური რაოდენობები მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე და მათი წარდგინებით - აკადემიურ საბჭოზე;
7. ფაკულტეტი აცხადებს მიღებას ერთსაფეხურიან, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე დამტკიცებული მისაღები კონტინგენტის გათვალისწინებით;

8. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შემთხვევაში, ფაკულტეტი უზრუნველყოფს აკადემიურ პერსონალის რაოდენობას განსაზღვრული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით.

II. საგნობრივ ჯგუფში სტუდენტთან რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

✓ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხით წარმართვისათვის საგნობრივ ჯგუფში პრაქტიკულ მეცადინეობაზე სტუდენტთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 15-ს და ლექციაზე - 75-ს. სწავლების ფორმატი ძირითადად გულისხმობს ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობას შემდეგი შეფარდებით:

✓ 1ლექცია/2 პრაქტიკული - ამ შემთხვევაში პრაქტიკულ მეცადინეობას ეთმობა 2×50 წუთი. აქედან გამომდინარე თითოეულ სტუდენტზე მოდის - 6.7 წუთი;

✓ 1 ლექცია/3 პრაქტიკული - ამ შემთხვევაში პრაქტიკულ მეცადინეობას ეთმობა 3×50 წუთი. აქედან გამომდინარე თითოეულ სტუდენტზე მოდის - 10 წუთი;

✓ 1ლექცია/4 პრაქტიკული - ამ შემთხვევაში პრაქტიკულ მეცადინეობას ეთმობა 4×50 წუთი. აქედან გამომდინარე თითოეულ სტუდენტზე მოდის - 13 წუთი.

✓ პრაქტიკული მეცადინეობისათვის განკუთვნილი დრო სავსებით საკმარისია პრაქტიკული მეცადინეობის ნებისმიერი ფორმატისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა სტუდენტის ჩართულობა და გამოკითხვა, ასევე პედაგოგმა შეძლოს თითოეულ სტუდენტს დაუთმოს ინდივიდუალური დრო.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა

აკადემიური და მოწვეული პედაგოგიური პერსონალის როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი და კლინიკური დატვირთვის დაანგარიშება ხდება უნიფიცირებული მიდგომით, შესაბამისად ხდება დამატებით პერსონალის რეკრუტირების საჭიროების დადგენა (სრულ შტატზე დატვირთვის ეკვივალენტის განსაზღვრის (Full time equivalent (FTE)-ს გამოყენებით).

პერსონალის დატვირთვის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება: 1) შრომითი კანონმდებლობით განსაზღვრული სრული საათობრივი დატვირთვა (მოწვეული პერსონალის შემთხვევაში ასევე იანგარიშება მისი სასწავლო/კვლევითი აქტივობა სხვა დაწესებულებაშიც); 2) უნივერსიტეტის სასწავლო რეგულაციით განსაზღვრული პედაგოგი/სტუდენტის რაოდენობის კოეფიციენტი (იხ. პერსონალის დატვირთვის წესი); 3) მედიცინის პროგრამაზე არსებული სხვადასხვა თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდის, ასევე შეფასების მეთოდების არსებობის გამო, აკადემიური/ მოწვეული პერსონალის დატვირთვა იანგარიშება მოცემული სწავლა/სწავლების, ასევე შეფასების მეთოდისთვის კონკრეტული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით:

- PBL / CBL სწავლება - არაუმეტეს 8 სტუდენტი ერთ პედაგოგზე, ერთ მეცადინეობაზე

- OSCE/OSPE შეფასება - არანაკლებ 12 გამომცდელისა თითოეულ გამოცდაზე, ერთდროულად საშუალოდ 30 სტუდენტზე (2 ჯგუფი, 12 სადგურზე) - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

- OSCE/OSPE შეფასება - არანაკლებ 11 გამომცდელისა თითოეულ გამოცდაზე, ერთდროულად საშუალოდ 30 სტუდენტზე (2 ჯგუფი, 11 სადგურზე) - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

- OSCE/OSPE შეფასება - არანაკლებ 5 გამოცდელისა თითოეულ გამოცდაზე, ერთდროულად საშუალოდ 30 სტუდენტზე (2 ჯგუფი, 5 სადგურზე) - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამა.

- Mini-CEX - არაუმეტეს 15 სტუდენტისა ერთ პედაგოგზე, თითოეულ გამოცდაზე

მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი (კლინიკური დისციპლინების შემთხვევაში)

- კლინიკური საგნების სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო/სასწავლო სამედიცინო დაწესებულებებში - პირველადი, მეორეული და მესამეული დონის სერვისების მქონე კლინიკებში. მრავალპროფილური/მონოპროფილური საუნივერსიტეტო და აფილირებული სასწავლო კლინიკები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით, სალექციო და სასემინარო აუდიტორიებით, სტუდენტებისთვის კლინიკებიდან ხელმისაწვდომი უნდა იყოს წვდომა სასწავლო რესურსებზე (ელექტრონული, წიგნადი).
- საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკასა და/ან აფილირებული კლინიკაში (ხელშეკრულების საფუძველზე), პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის/კურაციის განმავლობაში უნდა შეადგენდეს:
 - თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 15 სტუდენტის
 - ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის
 - მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის
 - პედიატრიის დეპარტამენტში - დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის
- რენიმაციის/ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის.

III. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებასა და უნივერსიტეტის მიზნების მიღწევებს.

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობა ნათლად არის ჩამოყალიბებული და გამიჯნული. სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტურ მართვას. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობაში და ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობს შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პერსონალი.

უნივერსიტეტში მოქმედი ფაკულტეტების ფარგლებში არსებული პროგრამებისა და სტუდენტთა კონტინგენტის მიხედვით ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობაა: სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს შეუძლია მოემსახუროს 200 სტუდენტს (40 საათი კვირაში = $40 * 60 = 2400$ წუთი, აქედან სტუდენტის კონსულტაციაზე საჭირო დრო არის 1 სტუდენტზე საშუალოდ 6 წუთი = $20 * 60 = 1200$ წუთი, ხოლო დანარჩენი 20 სამუშაო საათი (1200 წუთი) განაწილებულია დეკანატში სხვადასხვა ადმინისტრაციული სამუშაოების შესასრულებლად.

IV. მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტს საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ნივთები) ემსახურება დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნების რეალიზაციას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის განხორციელების მოთხოვნებს და არსებულ/დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.

უნივერსიტეტს მფლობელობაში გააჩნია უძრავი ქონება შემდეგი სავალდებულო ფართებით: ფოიეები, სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსო/სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები, არქივი. სათავსოების განლაგება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას.

საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა, შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ამ დაწესებულების რესურსების სათანადო გამოყენების პირობით, შესაბამისი მარაგები (რეაქტივები, სასწავლო მასალები, თვალსაჩინოებები და სხვა), რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტის მატერიალურ/ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას მაღალი ხარისხით სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. კერძოდ:

1. სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობისათვის უნივერსიტეტს აქვს 55 სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები (დაფა, პროექტორი, კომპიუტერი და სხვ.), რომლებიც შემდგომად ერთდროულად მოემსახურონ 1541 სტუდენტს
2. საგამოცდო ცენტრი
3. მედიცინის სიმულაციური კლინიკა
4. სტომატოლოგიური კლინიკა
5. სტომატოლოგიის საფანტომო ლაბორატორიები
6. ანატომიის ბლოკი
7. 2 საკონფერენციო დარბაზი
8. საბიბლიოთეკო სივრცეები
9. სარეაბილიტაციო ცენტრი (კლინიკა)
10. სასწავლო/სამეცნიერო ლაბორატორიები
11. ფოიეები
12. სარეკრეაციო სივრცეები
13. ადმინისტრაციული კაბინეტები
14. საპროფესორო
15. არქივი
16. უნივერსიტეტში დაცულია სტუდენტთა და პერსონალთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა
17. სანიტარული კვანძები
18. ადაპტირებული გარემო

V. საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსი

უსდ-ში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების ბიზნესპროცესებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ განხორციელებას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვა მიმდინარეობს ადეკვატურად და ეფექტურად, უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვა (მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა) და ხორციელდება საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობის შეფასება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი), რომელიც გამოიხსნება უსდ-ის სერვისებისათვის, მუდმივად და სტაბილურად ხელმისაწვდომია სტუდენტებსა და პერსონალისთვის.

უსდ-ში დანერგილია ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები, რომლებითაც უზრუნველყოფილია მომსახურებისა და პროცესების მართვის ეფექტიანობა, ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა.

უსდ-ის ოფიციალური ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია საკონტაქტო და სხვა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, უსდ-ს მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები და ამ პროგრამაზე სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმები, დაწესებულების წლიური ანგარიშები, ფინანსური ანგარიშგებები, მიმდინარე და განხორციელებული კვლევები, ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, ხელმისაწვდომი სერვისები, დასაქმების შესაძლებლობები და სხვა.

ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

1. მინიმუმ 20 სტუდენტზე ინტერნეტში ჩართული 1 კომპიუტერი
2. მუდმივი Wi-Fi
3. სასერვერო ოთახი აღჭურვილი: HP Proliant DL 160 G9 სერვერებით, უწყვეტი კვების წყაროთი და ყველა საჭირო ტექნიკური/პროგრამული საშუალებებით.

VI. ფინანსური რესურსი

უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, არსებობს დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომლებიც რისკების მართვას უზრუნველყოფს ადეკვატურად და ეფექტურად. უსდ-ის ფინანსური რესურსი ადეკვატური და საკმარისია, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობები ეფექტურად შესრულდეს.

ფინანსური ანგარიშებით დადასტურებულია ფინანსური ინფორმაციის უტყუარობა, სამართლიანობა და სისრულე.

უსდ-ის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სწავლა/სწავლების/კვლევების/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის, ადამიანური რესურსების/ინფრასტრუქტურის მდგრადი და შემდგომი განვითარება.

უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება

უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირება/განვითარების დაფინანსება.

უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

VII სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

VIII აკადემიური/მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები

IX ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები

<https://www.globalcompass.me/blog/webster-university-vienna>

<https://www.hofstra.edu/academics/grad/international-russian.html>

[https://www.wittenberg.edu/sites/default/files/media/admission/forms/New Int'l Russian V
ersion%5B1%5D.pdf](https://www.wittenberg.edu/sites/default/files/media/admission/forms/New%20Int'l%20Russian%20V%20ersion%5B1%5D.pdf)

<https://studyinfocus.ru/best-german-uni-2017-reputation/>

[https://www.globaldialog.ru/countries/usa/higher_education/dominican-university-of-
california/](https://www.globaldialog.ru/countries/usa/higher_education/dominican-university-of-california/)

<http://www.directtalk.ru/catalog/191>